გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

განვმარტავ, რომ საღებავის ფერებია:

305-20 – ყვითელი

11-65 – ნაცრისფერი

“VITEX”-ის ფირმის

რეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული
სასამართლოს 2002 წლის 07.03
დადგენილებით, რეგისტრაციის № 2/4-3075

მოსამართლე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ყაზბეგი 1881“

წესდება

(მიღებულია პარტნიორთა კრების მიერ 2002 წლის 22 თებერვალს, ოქმი №1)

თბილისი, 2002

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საზოგადოების სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ყაზბეგი 1881“ (შემდგომში: საზოგადოება), ინგლისურად ,,Kazbegi 1881, L.L.C“ საზოგადოების შემოკლებული სახელწოდებაა: შპს ,,ყაზბეგი 1881“.

1.2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.3. საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოებას შეუძლია დადგენილი წესით შექმნას ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ; იყოს სხვა საზოგადოებების, მათ შორის საზღვარგარეთ რეგისტრირებული საწარმოების (კომპანიების, კორპორაციების და ა.შ.) მონაწილე.

1.4. საზოგადოება თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

1.5. საზოგადოება პასუხს არ აგებს საზოგადოების პარტნიორთა ვალდებულებებზე.

1.6. საზოგადოების ადგილსამყოფელია (იურიდიული მისამართია): საქართველო, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68ა

1.7. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. ,,საზოგადოების“ საქმიანობის საგანი

2.1. ,,საზოგადოების“ საქმიანობის საგანია:

- სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა;
- ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოება;
- საწარმოო-სამრეწველო საქმიანობა;
- ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- ტურიზმი, სასტუმროების მშენებლობა, განვითარება და მართვა;
- თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის წარმოება-რეალიზაცია;
- სხვა სახის საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2.2. საქმიანობის იმ სახეებს, რომლის განხორციელებაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საჭიროებს ლიცენზიას/ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის დადგენილი წესით მიღების შემდეგ.

მუხლი 3. საზოგადოების პარტნიორები

3.1. საზოგადოების პარტნიორები არიან:

- გიორგი თოფაძე, დაბადების თარიღი: 18.04.1940 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქ. 43, პროფესია: ინჟინერ-ქიმიკოსი

- ვაჟა გოგიბერიძე, დაბადების თარიღი: 17.04.1939 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, თაქთაქიშვილის ქ. 11, პროფესია: ტექნოლოგი

- ელგუჯა გიორგობიანი, დაბადების თარიღი: 02.06.1937 წ. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 14ა, პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- ბორის საყვარელიძე, დაბადების თარიღი: 09.01.1952 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ. 18, ბ. 21, პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- ნუგზარ ბაქრაძე, დაბადების თარიღი: 20.06.1946 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 2, კორპ. 2, ბ. 36, პროფესია: ტექნოლოგი

- ნოდარ დვალი, დაბადების თარიღი: 12.05.1938 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, შატბერაშვილის 4, მე-7 კორპ., ბ. 74, პროფესია: ტექნოლოგი

- ირაკლი თოფაძე, დაბადების თარიღი: 15.04.1969 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქ. 43, ბ. 7 პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- ზურაბ კოსტავა, დაბადების თარიღი: 11.03.1970 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, შანიძის ქ. 20, პროფესია: ინჟინერ-მექანიკოსი

- ლავრენტი სააკაძე, დაბადების თარიღი: 26.10.1949 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გოძიაშვილის 1-ლი შესახვევი, №12 პროფესია: ეკონომისტი

- ნოკოლოზ სონღულაშვილი, დაბადების თარიღი: 17.07.1954 წ., მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფ. დიღომი პროფესია: მძღოლი

- ზაზა ჭილაძე, დაბადების თარიღი: 22.07.1956 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, აღმაშენებლის 181, ბ. 6, პროფესია: ფილოლოგი

- ლაშა ოთხმეზური, დაბადების თარიღი: 25.01.1968 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას 39, ბ.79, პროფესია: ექიმი

- რაჟდენ ღვამიჩავა, დაბადების თარიღი: 09.05.1952 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, პასტერის ქ. 10ა, პროფესია: ეკონომისტი

- ირინა თათულაშვილი, დაბადების თარიღი: 25.10.1957 წ. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, წყნეთი, ჭავჭავაძის 9ა, პროფესია: ეკონომისტი

- ლევან გოგოძე, დაბადების თარიღი: 17.11.1959 წ., მისამართი: საქართველო, საბურთალოს რ-ნი, დიღმის მეურნეობა, სახლი 9, პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- ლამარა ნუცუბიძე, დაბადების თარიღი: 12.05.1944 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ქურდიანის ქ. 21 პროფესია: მიკრობიოლოგი

- თენგიზ კაპანაძე, დაბადების თარიღი: 03.03.1936 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ/დიღომი, დ. თავდადებულის 12, ბ.12, პროფესია: სწავლული აგრონომი

- ვიქტორ მიხალელი, დაბადების თარიღი: 28.07.1931 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გვენეტაძის ქ. 8, ბ. 23, პროფესია: ინჟინერ-მექანიკოსი

- გიორგი გოდერძიშვილი, დაბადების თარიღი: 10.03.1947 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ/დიღომი, გ. ბრწყინვალის 13, ბ. 19, პროფესია: ინჟინერ-მექანიკოსი

- ანზორ ჯინჭარაძე, დაბადების თარიღი: 10.05.1946 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-2 კვარტ., მე-2 კორპ., ბ.11, პროფესია: ინჟინერი

- ჯემალ ჯინჭარაძე, დაბადების თარიღი: 04.04.1951 წ. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიღმის მასივი მე-2 კვარტ., მე-2 კორპ., ბ.11, პროფესია: ეკონომისტი

- გიორგი თედორაძე, დაბადების თარიღი: 28.09.1961 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 46, ბ. 52, პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- გიორგი გოგიძე, დაბადების თარიღი: 12.08.1960 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სიხარულიძის ქ. 39, პროფესია: ინჟინერი

- ალექსანდრე კაპანაძე, დაბადების თარიღი: 01.09.1925 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დადიანის 34, 1-ლი კორპ., ბ. 12 პროფესია: აგრონომი

- არჩილ ჯელაძე, დაბადების თარიღი: 19.08.1955 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბახტრიონის 30, ბ. 25, პროფესია: ინჟინერ-ტექნოლოგი

- ემა კობიძე, დაბადების თარიღი: 19.03.1940 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჩიტაიას ქ. 30 პროფესია: ბუღალტერი

- ნინო მჟავანაძე, დაბადების თარიღი: 17.07.1957 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბარნოვის 69ა, პროფესია: ექიმი

- დავით ღვამიჩავა, დაბადების თარიღი: 18.03.1939 წ., მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას 9, პროფესია: ექიმი

მუხლი 4. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, პარტნიორების შესატანები და წილობრივი მონაწილეობა. „საზოგადოების“ ფონდები

4.1. საზოგადოების“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 900 000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარს.

4.2. საზოგადოების პარტნიორების შესატანი და წილობრივი მონაწილეობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- გიორგი თოფაძე – 638 000 ლარი - 22 %
- ვაჟა გოგიბერიძე – 232 000 ლარი - 8 %
- ელგუჯა გიორგობიანი – 339 590 ლარი - 11,71 %
- ბორის საყვარელიძე – 232 000 ლარი - 8 %
- ნუგზარ ბაქრაძე – 232 000 ლარი - 8 %
- ნოდარ დვალი – 232 000 ლარი - 8 %
- ირაკლი თოფაძე – 145 000 ლარი - 5 %
- ზურაბ კოსტავა – 145 000 ლარი - 5 %
- ლავრენტი სააკაძე – 72 500 ლარი - 2,5 %
- ნოკოლოზ სონღულაშვილი – 72 500 ლარი - 2,5 %
- ზაზა ჭილაძე – 29 000 ლარი - 1 %
- ლაშა ოთხმეზური – 14 500 ლარი - 0,5 %
- რაჟდენ ღვამიჩავა – 29 000 ლარი - 1 %
- ირინა თათულაშვილი – 58 000 ლარი - 2 %
- ლევან გოგოძე – 29 000 ლარი - 1 %
- ლამარა ნუცუბიძე – 29 000 ლარი - 1 %
- თენგიზ კაპანაძე – 58 000 ლარი - 2 %
- ვიქტორ მიხალელი – 43 500 ლარი - 1,5 %
- გიორგი გოდერძიშვილი – 14 500 ლარი - 0,5 %
- ანზორ ჯინჭარაძე – 29 000 ლარი - 1 %
- ჯემალ ჯინჭარაძე – 14 500 ლარი - 0,5 %
- გიორგი თედორაძე – 116 000 ლარი - 4 %
- გიორგი გოგიძე – 29 000 ლარი - 1 %
- ალექსანდრე კაპანაძე – 14 500 ლარი - 0,5 %
- არჩილ ჯელაძე – 4 350 ლარი - 0,15%
- ემა კობიძე – 4 060 ლარი - 0,14%
- ნინო მჟავანაძე – 29 000 ლარი - 1 %
- დავით ღვამიჩავა – 14 500 ლარი - 0,5 %

4.3. საწესდებო კაპიტალის შეცვლა (გაზრდა, შემცირება) შესაძლებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.4. საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა შესატანები შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. შესატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომლებიც უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა. საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი იქმნება პარტნიორების არაფულადი (ქონებრივი) შესატანის გზით.

4.5. თავისი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, საზოგადოება ქმნის სარეზერვო და სხვა სახის ფონდებს. ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი განისაზღვრება პარტნიორთა კრების მიერ.

მუხლი 5. პარტნიორების უფლებები და მოვალეობები

5.1. საზოგადოების პარტნიორები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით და ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. წილზე საკუთრების უფლება

6.1. პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.
პარტნიორის მიერ წილის გასხვისება მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. პარტნიორის მიერ წილის ნაწილობრივ გასხვისებისათვის საჭიროა აგრეთვე საზოგადოების თანხმობა.

6.2. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს საზოგადოების სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

6.3. წილის გადაცემის უფლება პარტნიორს აქვს საწესდებო კაპიტალში შესატანის სრულად შეტანის შემდეგ.

მუხლი 7. „საზოგადოების“ მართვა

7.1. საზოგადოების მართვის ორგანოებია: საზოგადოების პარტნიორთა კრება და საზოგადოების დირექტორი.

მუხლი 8. პარტნიორთა კრება

8.1. საზოგადოების უმაღლეს ორგანოა საზოგადოების პარტნიორთა კრება (შემდგომში: კრება).

8.2. კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. კრებას იწვევს საზოგადოების დირექტორი. კრება ტარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან წინასწარ შეტყობინებულ სხვა მისამართზე.

8.3. დირექტორმა უნდა მოიწვიოს კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს, ან თუ კრების მოწვევას ითხოვენ პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს. კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

8.4. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი თუკი ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს/საკითხებს.

8.5. კრება მოიწვევა საზოგადოების დირექტორის მიერ ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით ან დადასტურებული ფაქსით. წერილში მითითებული უნდა იყოს კრების ჩატარების ადგილი, თარიღი. წერილი უნდა შეიცავდეს ასევე დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

8.6. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორები. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაშიც თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

8.7. პარტნიორს აქვს უფლება პარტნიორთა კრებაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის/წარმომადგენლების მეშვეობით.

8.8. კრება გადაწყვეტილებებს იღებს კრების მონაწილე პარტნიორთა ხმების უმრავლესობით.

8.9. კრებას თავმჯდომარეობს საზოგადოების დირექტორი. თუ კრება მოიწვევა პარტნიორების მოთხოვნით, კრებას შეიძლება თავმჯდომარეობდეს ერთ-ერთი პარტნიორი.კრების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. ოქმი შესანახად გადაეცემა საზოგადოების დირექტორს. ოქმის ასლი, მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება გადაეცეს პარტნიორს.

8.10. კრება იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების თანახმად პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების დირექტორი.

მუხლი 9. დირექტორი

9.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. დირექტორი საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი პირია და თავისი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით ეკისრება პერსონალური და მატერიალური პასუხისმგებლობა.

9.2. დირექტორი ერთპიროვნულად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში. დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება და გადაწყვიტოს ყველა საკითხი, გარდა იმისა, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების თანახმად საზოგადოების პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 10. საზოგადოების მოგება

10.1. საზოგადოების მოგება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. სამეურნეო წელი

11.1. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.

11.2. პერიოდი საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციიდან სახელმწიფო რეგისტრაციის წლის 31 (ოცდათერთმეტ) დეკემბრამდე ქმნის ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

მუხლი 12. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება

12.1. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად. მის წარმოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს.

12.2. საზოგადოების საქმიანობის შედეგები აისახება წლიურ ბალანსში, მოგება-ზარალის ანგარიშსა და გენერალური დირექტორის წლიურ ანგარიშში.

13. „საზოგადოების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

13.1. „საზოგადოების“ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

პარტნიორები:

გიორგი თოფაძე

ლევან გოგოძე

ვაჟა გოგიბერიძე

ლამარა ნუცუბიძე

ელგუჯა გიორგობიანი

თენგიზ კაპანაძე

ბორის საყვარელიძე

ვიქტორ მიხალელი

ნუგზარ ბაქრაძე

გიორგი გოდერძიშვილი

ნინო მჟავანაძე

ანზორ ჯინჭარაძე

ნოდარ დვალი

ჯემალ ჯინჭარაძე

ირაკლი თოფაძე

გიორგი თედორაძე

ზურაბ კოსტავა

გიორგი გოგიძე

ლავრენტი სააკაძე

ალექსანდრე კაპანაძე

ნოკოლოზ სონღულაშვილი

არჩილ ჯელაძე

ზაზა ჭილაძე

ემა კობიძე

რაჟდენ ღვამიჩავა

დავით ღვამიჩავა



